№2215 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ-მოხუცებულთა პალიატიური ჰოსპისისთვის მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს მიეცეს თანხმობა მის ბალანსზე რიცხული 50 ცალი საწოლი – ჯამური საბალანსო ღირებულებით 5087,50 (ხუთი ათას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)აუქციონის გარეშე, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით (თხოვება), გადასცეს ა(ა)იპ - წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ-მოხუცებულთა პალიატიურ ჰოსპისს, ორგანიზაციის ფუნქციონირების ვადის ამოწურვამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**